

սխալ
տարածված
հոսք
հոսք

42 552

251

287 1 251

287 1 251

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
16.01.2025 51

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՀԱՄԱՐՆԱԿԱՆ ԿՐԹԱՆՈՒՅՑ

13.

წინ, საქართველო!

ელერდა ამაყი „ლილო“,
კახის — „ჭკა მაგას“ ჩართული.
რუსთველის შაირს სწავლობდა
თამარი ჯვარშემართული...

რეკავდა სვეტიცხოველი,
ჯვარი, გელათი, სიონი.
ბიბლიურ წვერით გამოჩნდა
ღმერთებში გალაკტიონი.

— დროშები ჩქარა! — დრო ქუხდა,
იტყობდა: — მიწა იძვრისა.
იჭექა როცა მოესმა
ზეცას ხმა ლეონიძისა.

და დიდოსტატის მარჯვენივ
მზეს მისწვდა ქართლის გენია.
წინ, საქართველოვ, ვარსკვლავნი
ფეხებზე ვარდებდა გვენი!

მზე გათბობს ღრეწანდობის,
ოქროს მერმისიც შენია.
წინ, საქართველოვ! დროშები
მეცხრე ცას მიგიწვდენია!

მტკვარი

ძველ ქართველურში მტკვარი თურამ ცრამ-
მლის მდინარას ნიშნავს

ვიცი, მე ავხსნი ამ საიდუმლოს,
და ისტორიის დარეკავს ზარი...
შენც დაუფიქრდი, ძმაო ქართველო,
რა საოცარი სიტყვაა მტკვარი.

ნუ შეძრწუნდები, თუ ვაქცავი ხარ,
როცა წარსულის იღბა კარი.
ნუთუ მდინარედ აქცია ზენამ,
ცრემლი დავითის, ცრემლი თამარის!

ნუთუ მედეას მღვდარე ცრემლიც
მტკვარის დინებაში არის ჩართული.
წინაპრის ცრემლი მოედინება,
მას კი მდინარე ჰქვია ქართული...

კახსა და იმერს, კოლხსა და ქართლელს,
სწამდა, სჯეროდა. რომ ხსნის დღე მოვა.
გადავრჩით, რადგან იმ ძუძუმ გვზარდა.
აღმაშენებლის ბავშვმ რომ წოვა.

ო, დედის თვალი და დედის ძუძუც,
ერის საცრემლეც, აკვანო ერის,
დედის ტირილიც სიმღერა არის,
ო, დედავ, შენი ცრემლებიც მღერის...

მოკვდავ ქართველის უკვდავო დედავ,
ღვთისმშობელივით ხარ მშვენიერი.
მე დავიფიცავ, დედავ, შენს სახელს,
შენ მუხლს მოგიყრის, ვითარც ხატს, ერო

თავად ღვთისმშობელს შემურდებოდა,
მამულისათვის შენ რაც შესძელი.
შენ ხომ რუსთაველს ძუძუ აწოვე,
შენ აყვავე სიცოცხლის ძელი.

ვინ თქვა, მცირეა, მამულისათვის
სისხლის მდინარის დამღვრელი ერი!

შენ, ვინც მოიგე დიდგორის ომი,
სვეტიცხოველი ვინც ააშენე;
ვინც კვეთი აქე და თვით ხარ ლომი,
და ცოტნეს სული ვისაც გამოგვინებს
არ დამარცხდები! თვით გორგასალი
მოვა და თავის ხმალს შეგაშველებს...

შინაგადასახლება

ისევ „რამეთუს“ გაომ

ალექსანდრე ლლონტი,
პროფესორი.

უქანსკელ ხანებში რამეთუ კავშირის წარამა-
რა, მოღურა ხმარება და ხელოვნურად ჩართვა
იმისთანა კონსტრუქციებში, სადაც მისი ადგილი
არ არის, ისე გახშირდა, რომ საზღვარი აღარა ჩანს.
პირდაპირ ყურს კრის: ისმის რადიო და სატელე-
ვიზიო გადაცემებში, ორატორთა გამოსვლებში,
ლექცია-საუბრებში, გვხვდება ვაზეთებსა და ქურ-
ნალებში, ორიგინალურსა და ნათარგმნ თხზულებ-
ებში. ერთი სიტყვი, რამეთუ კავშირმა ჯალის-
ნური ფრთები შეისხა. გამოჩნდა როგორც კანონი-
ერ, ისე, უმეტესად, სრულიად შეუფერებელ პო-
ზიციებში; ხელოვნურად დაუპირისპირდა თანამე-
დროვე ქართულის ვინაიდან, რადგან, რადგანაც
საკავშირებელ სიტყვებს და ლამის არის წალკოს,
ხმარებიდან განდევნოს ეს უწყინარი ლექსიკური
ერთეულები.

აი, რამდენიმე ნიმუში (წყარობს არ ვუჩვენ-
ებთ, მკითხველი უფრო მეტ მაგალითს თავად
იპოვოს): „ამ საქმეს ბევრი დრო უნდა, რამეთუ
ყოველი საქმე ღრით განისაზღვრება და ფასდებ-
ა“; „არ დაიფიქრო აღრე მოსვლა, რამეთუ უსია-
მოვლება არ შეგხვდეს“; „თვითღამეფიდების საფუ-
ძველი არა ვაქვს, რამეთუ ჩვენი წინსვლის კვა-
ლობაზე დღენიდავ იზრდება არამარტო პიროვნე-
ბის ყოველგვარი განვითარების შესაძლებლობა-
ნი, არამედ საზოგადოების მხრივ მისდამი მოთხო-
ვნილება“; „რომ დასცლიდა, უფრო მეტსაც ვა-
კეთებდა, რამეთუ უფრო შედეგანი და სრულ-
ყოფილი გაეხადა მისი ძიება“; „ერთხელ კიდევ
შეჩერდა, უქანსკელმა, რამეთუ დრო მოეყო.
დაბარებულ მანქანა კი არსად ჩანდა“; „მოსწავ-
ლეთა ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებულე ყველამ
უნდა ვიზრუნოთ, რამეთუ კოლექტივის დიდი
მოვალეობა არ მივიფიქვით“; „მადლობა შენდა,
მეუღლო, რამეთუ ამ უქანსკელ წუთებში მომ-
მადლე ესოდენი სითბო და ძალა“; „...თავად ბრძა-
ნე, რამეთუ აგრე ბევრი ვაგვეტა“...

შენიშნავდით, რომ აქ რამეთუ კავშირი ზოგან
სწორადან ნახმარი, ზოგან — სრულიად უადგი-
ლოდ. რა შეგვიძლია ვთქვათ ამ მოდის გამო? გამა-
რთლებულია თუ არა თანამედროვე სალიტერა-
ტურო ენაში ხმარებიდან ჯერ კიდევ XII საუკუ-
ნეში გასული სიტყვის აღდგენა? შეუძლია თუ არა
რამეთუ კავშირის დღევანდლობისათვის კეთილი
სამსახურის გაწევა? სასურველია თუ არა არქაიზ-
მის ასე წარამარა ხმარება ცოცხალ სიტყვის
საზიანოდ? ეს მწვავე საკითხებია, რომლებიც არა-
ერთგზის დასმულა როგორც მკითხველთა, ისე
სპეციალისტთა წინაშე. ერთი საერთო რეცეპტის
გამოყენება ყველა ძველი, ახალი თუ დიალექტური
სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით, ცხადია, შე-
უძლებელია, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ
ძველი, ხმარებიდან გასული თუ კუთხური სიტყ-
ვის თანამედროვე სალიტერატურო ენის სამსახურ-
ში ჩაყენება არა თუ შეაფერხებს დღეინის ბუნებ-
რივ განვითარებას, არამედ, პირიქით, გაამდიდრებს
და მეტ გამომსახველობის ძალას მისცემს. მუდამ
ამ გზას ადგენს ერის ქურუმნი, ლიტერატურისა და
მეცნიერების კლასიკოსები, და მათი გზა ცხოვრ-

ბამ სახეებით გაიმართლა. ეს სწორი, ნაცადი გზაა,
რასაც ძირითადად ადგას ჩვენი თანამედროვე მწე-
როლობა და მეცნიერება, მას უნდა გავყვეთ ვე-
ლანი.

ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ
აღდგენილ სიტყვას მივუჩინოთ თავისი ადგილი,
ვისმართო დანიშნულებისამებრ, მხოლოდ მიზნობ-
რივად და არა მოღურად. არც იმის დაფიქრება შეი-
ძლება, რომ ყოველი ახალი ლექსიკური ერთეულის
გავრცელებას განაპირობებს არა ინდივიდუუმის
„კეთილი სურვილები“, არამედ ენის შინაგანი გან-
ვითარების ობიექტური კანონები, საზოგადოების
დასტური: ყოველ ახალ სიტყვას ასაპირობო მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ შესაფერისი
ეკვივალენტი ან სინონიმი არ მოგვეპოვება, ან არ-
სებულ სიტყვას აქვია გამომსახველობის ძალა.
ამისთანა შემთხვევაში აღდგენილი სიტყვა ავსებს
ზოღმე ხარვეზს, თამამად დგება ენის სამსახურში,
ღიანდაზად ეწინააღმდეგება წინ ავტორსაც და მკითხველ-
საც. სხვა პირობებში „ახალი“ სიტყვა ვერ დამე-
ფრდობდა ენის ლექსიკურ საგანძურში. რამეთუ
კავშირი, უნდა ითქვას, ხარვეზს სრულიად ვერ
ავსებს იმის გამო, რომ მისი სრული ეკვივალენტე-
ბი ენის მოუპოვება რადგან და ვინაიდან კავშირთა
სახით და ამ უქანსკელთა განდევნის უპერსპექ-
ტივო ამოცანის შესრულებას იგი ვერ აკისრებს.
ვინაიდან ძველთაძველი სიტყვაა, რომელიც აღრი-
დანვე იხმარებოდა რამეთუს პარალელურად, მაგ-
რამ, როგორც ქვევით დავინახავთ, ის ენამ შეინა-
რჩუნა, გადმოჰყვა საშუალო და თანამედროვე
ქართულს. ხოლო რამეთუ სალიტერატურო, სასა-
უბრო ენამ დაიფიქრა, დარჩა ძველ ქართულში.
ამიტომ მის ხმარებას გამართლება აქვს მხოლოდ,
როგორც ვინაიდან კავშირის სინონიმს. სინონი-
მიც ენის სიმდიდრე და სიკეთეა. რამეთუ კავშირის
დღეს შეუძლია რადგან და ვინაიდან კავშირთა სი-
ნონიმის ფუნქციონს შესრულება. სხვა ფუნქციით
მისი ხმარებას დამეფიქრებულე ფეხი ამო აქე-
ბოდა. მხოლოდ რამეთუს დამეფიდრება და ვი-
ნაიდან და რადგან კავშირთა განდევნის ტენ-
დენცია, რაც დღეს იგრძნობა, დისონანსს შეიკრას
სალიტერატურო ენის განვითარებაში და ამას არც
საზოგადოება დაუშვებს: სიტყვა ხელოვნურ წა-
ნახარად დარჩება.

საერთო მეროვ მხარეც აქვს. რამეთუ ძველ
ქართულში სრულფასოვანი სიტყვა იყო და ენას,
განსაკუთრებით საეკლესიო მწერლობას, საჭირო
სამსახურს უწევდა. შემდეგ მისი პროლექტიული-
ბა თანდათან შეიფერხდა, ბოლოს სულ გამოვიდა
ხმარებიდან. ენა კვლავ ვაცოცხლებსა და მისო-
ვის დაკარგული ადგილის აღდგენას, უმეველად,
მხარდაჭერის ღირსია, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არ
უნდა იყოს მოდის ანარქული, არამედ უნდა მივე-
მდებარებოდეს ენის განვითარების კანონზომიერე-
ბას და არა პიროვნების თუ პიროვნებთა ჯგუფის
სურვილებს. ცნობილია, რომ ენა ხელოვნურობას
ვერ იტანს. ყოველგვარი ენობრივი ფენომენი ბუ-
ნებრივი და ენის განვითარების ანარქულია. ენაში
მეფიდრება არა ყველაფერი ის, რაც მასში შეიქმნ

ინდივიდუუმებს, არამედ მხოლოდ ის, რასაც ხალხისაგან ეძლევა ხსენება, რაც სულსა და გულს მალაონსავე უსაბუნებოდ. ხალხი, საზოგადოება და არა პიროვნება, იყო, არის და მარად დარჩება მეკონტროლე ენის განვითარებისა. ჯერ კიდევ ილიას სწორად აქვს შენიშნული, რომ „ხალხი ენის კანონის დამდები და არა ანაბნთ თეორეტიკაო“.

რამეთუ ძველი ქართული ენის დამახასიათებელი და, როგორც ითქვა, მის იქ მყარად განსაზღვრული პოზიცია ეჭირა: მონაწილეობდა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებდა მთავარს. ამიტომ გრამატიკოსები ამ სიტყვას მიზეზობით კავშირს უწოდებდნენ. რამეთუ ფუნქცია სხვა საკავშირებელ სიტყვებთან ერთად შესწავლილი აქვთ აღრე ანტონს, ვაიონს, ჩვენს დროს — ა. შანიძეს, შ. ძიძიგურს, ა. კიზირაის. თანაც ამ სიტყვის ხმარებელთა განხილულია მხოლოდ ძველი ქართულის გრამატიკულ ნარკვევებში.

ახალი ქართული ენის გრამატიკაში კი მასზე საუბრობენ, ა. შანიძის ფუნდამენტური თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში¹ სკრუპულაზურადაა შესწავლილი მაქვემდებარებელ კავშირთა სისტემა (§ 642), მაგრამ რამეთუ შესახებ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, სამაგიეროდ იმავე ავტორის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ ამ სიტყვის ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში აღნიშნულია: რამეთუ იგივეა, რაც რადგანაც, ხოლო მას ზოგჯერ „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც აქვს (§ 236, გ). ასევე ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“, სადაც განხილულია იმისთანა მიზეზობრივი-კავშირები, როგორცაა რომ, იმიტომ რომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი (§ 179), რამეთუ დასაძლუბელიც არ არის, და სამართლიანდაც, სამაგიეროდ ა. კიზირაის წიგნში — „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ — რამეთუ კერძობილიადაა შესწავლილი ვინაიდან კავშირთან ერთად (§ 33), ყოველივე ეს საესებით ბუნებრივია, რადგან რამეთუ ძველი ქართული კავშირია, რომელიც, როგორც ითქვა, საშუალებად ახალ ქართულს აღარ გადმოჰყოლია, განხილვება ძველი ქართულის დონეზე.

რა ვითარება გვექნება ძველ ქართულში ძველ ქართულში რამეთუ იხმარებოდა შეზღუდვად, უკვლა ენის თხზულებაში. ჰქონდა ზუსტად გამოკვეთილი ფუნქცია. გრამატიკოსი ვაიონი, ანტონის მსგავსად, რამეთუ მიზეზობით კავშირად თვლიდა და მისი დასკვნით, ძველ ქართულში მიზეზობითი კავშირები იყო: „რამეთუ, ვინაიდან, ვითარმედ, ვითარმეცა, რამათმეცა არა, ამისთვის, ამისთვის ვითარმედ, რამედ“. აქედან თანამედროვე სალიტერატურო ქართულს შემორჩა ვინაიდან (ვინაიდან-ის სახით) და რამედ. სხვა, მათ შორის რამეთუ, დარჩა ძველ ქართულს.

ძველ ქართულში რამეთუს მაქვემდებარებელი კავშირის პოზიცია ეჭირა იმისთანა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, რომლებშიაც მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადება გვექნება. იგი სწორედ ამ ფუნქციის დამოკიდებულ წინადადებას იწყებდა და მთავართან აერთებდა. სინხორის მიზეზობით რამეთუს ხმარებაში პირველ ადგილზე მოდიოდა საეკლესიო მწერლობის ძეგლები, საერო თხზულებებში იხმარებოდა ზომიერად, რამდენადმე შეზღუდული სახით. X საუკუნის იმისთანა კლასიკურ ძეგლში, როგორცაა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მაგალითად, ბევრჯერაა დამოწმებული, მაგრამ უფრო ხშირად გამოხატუების სტილურად გამართვის მიზნით. ერთსა და იმავე რთულ კონსტრუქციაში ორჯერ არ მეორდება, რასაც ჩვეულებრივ საეკლესიო ძეგლებში ვხვდებით ხოლმე, არამედ მსგავს შემთხვევაში, მას ენაცვლება ვინაიდან სინონიმი. სალიტერატურო მხოლოდ ოროდ მაგალითად: „მარხეთა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩინათაგანვე ღვთა და ქორცი არა შექდა პირს მისსა, ვინაიდან [აქაც რამეთუ

იყო მოსალოდნელი] ქრისტესა განეკუთნა სული თვის სამკვიდრებელად, და ხატცა მონაზონებისა ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათასა და კოვლისაგან არღვევისა კაცთასა“ (პ. ინგოროყვას გამოც., 1949, გვ. 14). იმავე ძეგლში იციხება წინადადება, რომელშიაც რამეთუ კავშირი სამ ადგილასა მოსალოდნელი, ნამდვივად მხოლოდ ერთ ადგილას გვექვს, ორ შემთხვევაში კი ნახმარა მისი სინონიმები ვინაიდან და რამათმე: „იყენეს ოზოზს ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტესს სიყვარულისათვის, ვინაიდან [აქ მოსალოდნელი იყო რამეთუ] პოვნილ იყო წმიდა იგი მცირე ეკლესიაში წმიდისა ნათლისმცემელისა, და იყო წინამძღურისა მათისა სახელი ამა გიორგი, რამეთუ მესამად მამა იყო ოზოზისა, რამათმე [აქაც რამეთუ იყო მოსალოდნელი] სამოელ და ანდრეა გარდაცვალებულ იყენეს“ (იქვე, გვ. 20).

რამეთუს ძველად ვინაიდან და რადგანაც მიზეზობრივ კავშირთა ფუნქცია ჰქონდა, არაშეიათად რომ მაქვემდებარებელ კავშირსაც ენაცვლებოდა. რომ კავშირის ძველადე შექმლო და ამჟამადე შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება. მისი სემანტიკა ტევიდა.

რამეთუ ისე იყო ჩართული ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, რომ მისი შეცვლა ძველი ხდებოდა-ღობოქმდებელი გახლდა უკვლა ენის, თანაც ორიგინალურსა და ნათარგმნ, ძეგლებში.

ა) ორიგინალურ ძეგლებში: „კანულმეცა ვარ მე თქუენან, რამეთუ მე აქა არღისა მოქცეულ ვარ“ („ეცხთელის მცხეთის მარტილობა“); „ცრემლორდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოელი ჩუენი ყოვლად არღარა იყო“ („ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“); „ბრძანა კურაპალატმან ზათა იშნისათა საქმეა, რამეთუ მახლობელად იყო ეამსა მას. და პრქუა ნეტარსა მამას გრიგოლს: „განუგებულად ექმენ, რამეთუ წიგნი არა მოწერად გეც“ („ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“); „მე ენებათა ბილწთა მოწებად მიღუყვილ თავი, რამეთუ რომლისაგანაცა ვინ ძღუელ არნ“ (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულთანი“); „თუთა დავით წინაწარმეტყუელმან, რამეთუ: „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“ (ქება და დიდება ქართულისა ენისა)...

ბ) ნათარგმნ ძეგლებში: „დადგრომილ ხიყო და ურწმუნოებისათვის აღვინი ხესხნეს, რამეთუ სწორად მიდგომისა უტკუ ხიყო იგი“ (ხანნეტი ძეგლები); „თქუენ ნუ პირქუამთ თავთა თქუენთა, მოძღუარო, რამეთუ ერთ არს თქუენი მოძღუარი“ (პატივის ოთხთავი, მათე 23,8); „აუ ვიწყო სიტყუად უფლისა მიმართ, რამეთუ მე ვარ მიწად და ნაცარი“ (დაბა, 18, 27); „რამეთუ ხელნი მოსესნი იყენეს დამძიმებულ, მიიღეს ლოდი და დაუდგეს ქუეშე“ (გამოსლვა, 17,12); „არა შეპოთ, რამეთუ საძაველ არს“ (ლევტ., 11,13); „ვეცხლისა იგი კიშტ სამარხობა ძისა ჩემისად არს, რამეთუ წმიდა იყო ქორცითა და მტრუიწეველ სულითა ვითარცა ვეცხლი“ (სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, 66; „ვითარცა იხილა იოვანი, რამეთუ მოვიდოდა უფალი, თქუა: ავა კრავი ღმრთისა“ (იქვე, 229)...

გვიან, XI საუკ. ბოლო ხანებიდან მოყოლებული,

1 რამათმე/რადგან ძველ ქართულში იშვიათად იხმარებოდა. გრამატიკოსებს ის, სამწუხაროდ, ძველ ქართულ მაქვემდებარებელ კავშირად დასახელებულად არა აქვთ. საბას ლექსიკონშიც ლიტონად, წყაროს უჩვენებლადაა შეტანილი, თუმცა, როგორც ვხედავთ, X ს. კლასიკურ ძეგლში (და არა მარტო აქ) კი გვხვდება. დამოწმებულია იმისთანა ძეგლებშიც, რომელთაც საბაც კარგად იცნობდა. მაგ., „თამარისა“ (გვ. 2; გვ. 4), „აბდულმესიასა“ (გვ. 2), „ვისამარისა“ (ს. ყუბანიშვილის გამოც., გვ. 142) და სხვ. გამოდის, რამათმე/რადგან ისეთივე ძველი მიზეზობრივი კავშირია, როგორც რამეთუ და ვინაიდან. ახალ ქართულში რამეთუს არეალი შეიზღუდა, რადგან და ვინაიდან კავშირთა არეალი კი გაუარესდა.

რამეთუს არეალი შეიზღუდა, აღარ გადმოჰყვა XII საუკუნისა და მომდევნო ეპოქათა მწერლობას, მით უმეტეს ახალ ქართულს. XII-XVIII სს. საერო ლიტერატურის ძეგლებში, ჩვეულებრივ, აღარ იხმარებოდა, უფრო საეკლესიო მწერლობაში შემორჩა. არ არის, მაგალითად, დამოწმებული საშუალო ქართულის იმისთანა კლასიკურ საერო ძეგლებში, როგორცაა „თამარისა“, „აბდულმესიასი“, „ვეფხისტყაოსანი“, მას არ იცნობს XVII-XVIII სს. თხზულება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ერთხელ არის ნახმარი საბას თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“, ისიც მხოლოდ სტილიზაციის მიზნით („მე ჩემი ზრუნვა არა რა მაქნდა, მაგრამ სამთა მათ იტალიელთა მამათათვის ვეყავ დაღონებული, რამეთუ უცხონი იყუნეს და ენა არ იცოდნენ“, ტ. I, 1959, 243-244) არ გადმოჰყვა XIX საუკუნეს.

თანამედროვე ავტორთა ცდა რამეთუს აღდგენისა და მისთვის დაკარგული პოზიციების დაბრუნებისა, პრინციპულად უარსაყოფი როდია, მაგრამ ასე გაუქმთხავად, წარამართა, თანაც უადგილო ადგილას ხმარება ყოვლად შეუწყნარებელია. თუ მას საყოველთაოდ აღედგენ, უხდა დაუბრუნდეს კუთვნილი ფუნქცია — მიზეზობრივი კავშირისა, ამავე დროს მისი ხმარებისას ნომინირება უნდა დავიკავთ: ჩავრთოთ უპირატესად იმისთანა კონსტრუქციებში, რომლითაც გარდასული მოტივები, ძველქართულად სტილიზებული სათქმელები გადმოცემდა. ამა, ამგვარ კონსტრუქციებში რა გამოლევს ამისთანა ტექსტებს ნამდვილად დაამშვენებს რამეთუს შესაფერის ადგილას ხმარება.

რამეთუ კავშირის განუყოფელი ხმარების გამო სპეციალისტებს არავითარხის გამოუთქვამთ უმყოფილება.

პროფ. ა. თ. თაყაიძემ, კერძოდ, დაგმო ის, როგორც უსაგნო არქაიზმი და საკუროდ მიიჩნია. სტუდენტთა სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაში სამართლიანად ეთქვა: „არც სასკოლო და არც ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონით თანამედროვე ქართულ ენაში დამკვიდრებული მკავეშირებული სიტყვა „რადგან“ არაის შეუცვლად უძველესი არქაული ფორმით „რამეთუ“. ამ სიტყვის აღდგენა და შემოქმად არ უღიანთ არც ვახტანგისა და არც კონსტანტინე გამსახურდიას თავიანთ ისტორიულ რომანებში“.

ამ კავშირის ხელოვნურად ხმარება არ მოიწონა მწერალმა და უყრანოსტმა მის. კეკელიძემაც. ოღონდ სამართლიანად აღნიშნა: „რამეთუს“ გამოყენება გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ... ახალ ქართულში მაშინ, როცა მწერალი, პოეტი რადაც განსაკუთრებულის ხაზგასასმელად მიმართავს მას. ამ შემთხვევაში „რამეთუ“ პირდაპირ დანიშნულბასთან ერთად სტილურ ფუნქციას ასრულებს“ („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3, 1977, გვ. 39).

ყოველ სიტყვას მოვლა და სათუთად მოღრთობება სჭირდება. სიტყვის შეუფერებლად, ხელოვნურად ჩართვა ფრაზაში დაუშვებელია, მ. ჯავახიშვილის მოსწრებული გამოთქმა რომ გამოიყენებო, ეს „დააგონებს ენას“, და ჩვენს მოვალენ ვართ, ეს სიგონჯე არამც და არამც არ დაეუფათ. „არქაული რამეთუს“ აღდგენის კეთილი სურვილი სურვილად დარჩება, თუ მას ვერ მივუჩინეთ კუთვნილ ადგილს და ამის გამო ხმარებიდან გაეაძეგებთ ცოცხალ სიტყვებს. რამეთუს დამკვიდრების ცდა რადგანაც და ვინაიდან კავშირთა ნაცვლად და მათ აღდგოლას, ყოვლად შეუწყნარებელია. (რამეთუ შეიძლება დაუბრუნოთ თანამედროვეობას, შეიძლება ჩავრთოთ ორთოგრაფიულ ცნობარებშიც, ოღონდ უნდა ენებართ შესაფერის ადგილას, ზომიერად.

22